

«დროებისა» რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 გ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 გ.; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 გ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროებისა

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საქირობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბუთებად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბეჭდვს.

წაგკ ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკა

ნამდვილი სახელი ერთი ჩაენის საძმისა.

თბილისი, 22 თებერვალი.

ძაცს თითქმის ასის წლის განმავლობაში არა გაუყვებია—რა არამც თუ თავის ქვეყნისათვის სასარგებლო და სასუფუბებელი—ეს ასე ადვილი არ გახდავს, ჩემო მკითხველო, — თავის თავისათვისაც კი; თითქმის ისე დაუღამებია მთელი საუკუნე, რომ არაფერი უზრუნვია თავის ქვეყნის საქმეების წაღმართად მსგელლობისათვის. შარ-უყვია, ხელი აუღია თავის საეროენო ოჯახობისათვის, მიგდებულა ჩრდილში, მიუძინია და მისცემია სრულს მტონარობას. შარ უყვია ყოველივე, რითაც კაცს შეუძლიან სთქვას: «მე კაცი ვარ და კაცური საქმისათვის ვიღვწიო» და დაუტოვებია მხოლოდ ის, რითაც გარეშე პირს შეუძლიან სთქვას იმაზედ: ეს მტონარეა და არა კაციო!»

ასე განუტარებია მრახუცს თითქმის ასი წელი თავისი უბიწო მტონარეობისა. შევეჩვიეთ ჩვენ შეიღნი ჩვენის ცხოვრების «მამა-პაპურს» სელასა. მიტყობდით: მოხუცი მუდამ ვერ იცოცხლებს, წესია ბუნებისა, ბოლოს უნდა მოკვდესო, და ფეიქრობდით, ესრეთს მსგელლობის კვალობაზედ განსვენების ჟამი რომ მოაწევს, ჩვენი მოხუცი ან ცეცხლს წაუკიდებს დანარჩენს თვის საცხოვრებელს, ან არა და წყალში გადაჭყრისო. მიყავით ამ ფიქრით მოკუტლნი... და მართლა მოაღწია ჟამმა განსვენებისამ... უცებ ადგა მოხუცი და წაგვიკითხა

ანდერძი თვისი: სიკვდილს აღარ ვაპირებ, რადგანაც მუადიან, ჩემთა შეიღთა განაგრძონო სიცოცხლე ჩემი თაფიანთითა სიცოცხლითაო; მსურს ჩემთა შეიღთა ისწავლონ, ისე ისწავლონ, რომ სწავლითა თვისითა შეიძლონ არა დაკარგვა სახიერებისა თვისისაო. ამიტომ ერთი წილი ჩემის დანარჩენის შეძლებისა გადამიღვია ჩემთა შეიღთა ღირსეულად გამოზრდისათვისაო... ეს იყო. ძაცმა არ დასწვა თავის უკანასკნელი ქონება, წყალში არ გადაჭყარა და რადგანაც ამას ასე არ მოეგლოდით და დარწმუნებულად გვეგონა—დასწვადა, წყალში გადაჭყრიდა, ამიტომ ისე გაიხიარეთ ჩვენ, შეიღთა, რომ კინალამ ლეკური არ ჩამოეუარეთ. მუდებს მაღლა ვისროდით და ვიძახდით: «ქვეყნის სასარგებლო საქმეს გაუმარჯოს!» «თავ-განწირულობას გაუმარჯოს!» «ძაცობრიობას გაუმარჯოს!» ჩვენს ალტაცებას სამზღვარი არა ჰქონდა; თაბრუ გვეხვეოდა, აქ ეილას ახსოვდა ასის წლის მტონარეობა, ჩვენთა მეუკუღმართეთა მიმართ ჩვენი შემწეობა, ჩვენგან ჩვენი ცხოვრებისავე ჩაქოლვა! მრავი სიტყვით, ჩვენი მანებლობა ჩვენთა საქმეთა მსგელლობაში. რა დროს წარსულია, როდესაც მტონარეობით გულ-მკვდარი კაცი ამბობს: «შეიღები ისე მსურს გამოვზარდო, რომ ჩემი სახიერება და თვით არსებობა არ დაკარგონო. შევიროდით: გაუმარჯოს ქვეყნისათვის კეთილ-საქმეს, თავ-განწირულობას, კაცობრიობას და სხვა

მაღალს რამეებს! ნეტავი, ერთი კაცმა გვეკითხოს: აქ რა ალაგი აქვს განწირულობას, ქვეყნის საქმეს, კაცობრიობას? ადამიანებო, ჩვენმა ხბომ როდის დაიჭირა მგელი? ჩვენმა ჯორმა როდის მოიგო რაში?! ადამიანმა, მართალია, სთქვა უბრალო კაცური სიტყვა: ყელის გამოჭრა არ მინდა მინდა ეიცოცხლოვო. რა არის აქ გასაოცარი, რა არის თავ-გამოსადები. ასი წელიწადია-მეთქი, რაც კაცი ნელ-ნელა თავს იკლავს, სულ შემოიბოლო, ან სხვას შემოათლენია რბილი ხორცი, ჩამოიბოლო ძელებზე კუნთები, ძლივლა სულდგმულობს და ბოლოს, როცა საქმე ყელის გამოჭრამდის მივარდა, — ნამდვილი სიკვდილისა შეეშინდა და წამოიძახა: არა, არ მინდა სრულიად სიკვდილი, ყელს არ გამოვიჭრიო. არა, მე შენ გკითხავ, მკითხველო, განა აქ გასაკვირველია რამე? ძაცს ყელის გამოჭრას მაინც და მაინც არაფერ აძალებს, პირ-და-პირ მაინც არაფერ უთქვამს: «შენ თითონ შენის ხელით თავი მოიკალ და თუ კაცმა არ მოინდომა ყელის-გამოჭრა და უარ-ჰყო თვისი სიკვდილი—აქ, ღმერთმა ხბომ იცის, რომ არა არის რა თავ-გამოსადები თითქო მართლა რაღაც დიადი სიგმირე იყოს. — მარგი საქმეა, ვინ ამბობს, რომ ფულის გამოღება შეიღების გამოსაზღვლად, ისე გამოსაზღვლად, რომ ჩვენი კაცის შეიღს თავის სულის სახიერება ეტყობოდეს, რომ შეიღისა და ხალხის შორის იყოს ეროვნული ნათასაობა სულისა. მაგ-

რამ მაინც არა არის რა აქ გასაზვიადებელი და საფარფაბო. ჩემის ფიქრით, მე რომ ფული შემაქვს, სხვათა შორის შეიღების აღზღის საქმისათვის, მე ვიქცევი ისე, როგორც უნდა მოიქცეს ყოველი არა-უფუნური კაცი, მსურველი უბრალო სურვილისა—ქართველი კაცის შეიღი გამოიზარდოს სწავლაში და მეცნიერებაში გონების ვარჯიშობითა. ამასვე მკითხველი მეტყვის:

— მერე, როგორ სასიქადულო არ არის ეს ფულის გამოღება, როდესაც ამ ერთად-ერთი სასარგებლო საქმის მოწინააღმდეგენი ბეგრნი არიანო.

— შე დალოცვილო, ხალხი ისეთი სხვა-და-სხვა გვარი სულდგმულებსა-გან არის შესაფებელი, რომ იმათ შორის შეიძლება უკუღმართი წადილის მქონეც გამოჰჩნდეს და წარმოიდგინოს, — რა საქირაა, რომ კაცი მუდამ იტანჯება, — მიწასა ჰხნავს, ჰთესავს და მოიმიკისო. შუელი იშოვოს და ფულით ყოველთვის თავს ირჩენსო, წარმოიდგინოს ეს არარაისა მზგავსი აზრი და მინდორა-ყანების გადაწვა მოინდომოს. შოველს ამ გვარს საბრალო არსებას მოვლათუნდა, როგორც ავად-მყოფს... სხვა რა უშველის მას? — მაგრამ მაინც მე თავს ვერ ვიქებ ამითი, რომ ესთქვა: მე ავად-მყოფებში არ ვურევივარ, საღადა ვარ და ამიტომ მე, ქვემოთ ამისა ხელის მომწერელი, გმირი ვარ, გმირული საქმის ჩამდენიო. თავად-აზნაურობამ ფული გამოიღო

«დროებისა» ჭეღუტონი, 22 თებერვალი.

ჩამოღენივი სიტყვა ქართული გალობის აღდგინების გამო.

მე მგონია, ცხადი იყოს ყველასათვის, რომ საქართველოს ერთობის დროს ენაც ერთი გვექონია, ღრმად შემუშავებული და წესიერად დაკანონებული; ამან გვიმტკიცებენ: «მეფხვის-ტყაოსანი», «მისრაშიანი», «ღარიჯანიანი», «რუსუდანიანი და სხვ. აგრეთვე აღარც ის არის! საეჭვო, რომ სამეფოს ვაყოფისა და დაცალცალკეების შემდეგ ენასაც ხრწნილება შეჰპარვია, ადგილობრივი კილო მიუღია და ისე შეღახულა, რომ დღეს ის კანონიერი ენა აღარსად ისმის, — მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს ენის სრულიად დაკარგვას. — ავიღოთ მაგალითად ძვირფასი რამ მანიაკი: ის რომ იმისთანა უფსკრულში ჩაეარდეს, საიდანაც ამოღება შეუძლებელია, მაშინ ეთქმის დაკარგულობა და თუ მხოლოდ ის ძაფი გაუწყდა, რომელზედაც აუსხავს მისი მარცვლები,

გაიფანტა მარგალიტები და გაიბნა აქეთ-იქით, სხვა-და-სხვა კუთხეებისაკენ, ეს არ იქნება დაკარგვა. საქირა იქნება მხოლოდ იმ გაბნეული მარგალიტების მოძებნა, პოვნა, აკრეფა, მოგროვება და ხელახალ ძაფზედ ასხმა, და ხელში დაგვრჩება ისევე ძველი სამკაული, გაწმენდილი და გაახლებული. მაგრამ მართო ერთ რომელიმე კუთხეში რომ აჰკრიფოს ვინმემ მხოლოდ იქ მიგორებული მარცვლები და სხვაგან აღარ ეძიოს, თანე იმ მარგალიტებს აყოლოს ღობიოს მარცვლებიც, აახსას მანიაკად და იძახოს: ეს არის ნამდვილი ის ჩვენი ძველი მანიაკო, ეს იქნება პირ-და-პირი ან უკუწერება და ან სიზარმაცის ნიშანი.

მაგრამ ყველანი კი სტყუიან და სანამ ყოველ კუთხეს არ მოივლიან, ყველგან არ გამოძებნიან სიტყვებს და არ შეასწორებენ ძველთან, ცუდად მოყვრობენ სამშობლო ენას.

მაგალითი გვიჩვენა, ყოველი კუთხიდან გამოჰყვებს თავი და შინაური, თუ გარეული იმას იძახის: არა, მე უკეთ შევადგენ და არა მეო... ძეთილი და პატიოსანი!... ძალიან კარგი, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ იმათ პირადი რამ ანგარიში და კუდაბზიკაობა ამოქმედდესთ და სხვა-და-სხვა ჩვეულებრივ ხრიკებს იქამდი მიუწევიან, რომ ღამის საქმე არიდარიონ რაღაც წერილმანური პატრიოტობის გამოჩენით. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაკვირებს კომიტეტის მოქმედება: ის ისეთ რამეებს აჰყოლია, რომ თუ ერის-კაცთაგანაც საზოგადო თანაგრძობისა და დახმარების სურვილი აქვს ამ საქმეში, ასე არ უნდა იქცეოდეს! მრთი ამბობს: «მე ვერ შევისწავლი ნოტებს, მერე დავივლი იმერეთს, შევისრულებ გალობას და მერე დაგიწერთო». მეორე არწმუნებს, რომ მე არც ენა ვიცი და არც ხასიათი, მაგრამ ნოტებზედ კი, რაც გინდათ, თვალის დახახამებამდი გადაგიღებთო და სხ. და სხ. მომიტევიც ყურს უგდებს და არ იცის,



შვილების გამოსაზრდელად—ზოგმა არაფერი, სხვებმა ხუთი თუმიდგან მოყოლებული ორმოც თუმიამდე, ზოგმა შეიძლება უმეტესს კიდევ უმეტესი დაუმატოს ოქროს სინზე, ჩვენებური შაბაშის გადაგდებისა არ იყოს—და უნდათ სასწავლებელი გამართონ, ისე როგორც ხშირად ეიცით ხოლმე ფსონით სადილისა და მეგლიშის გამართვა. იქ ხორციელი საზრდოსათვის ეიცით ფსონის გამოღება და აქ კი სულიერს საზრდოზედ ვზრუნავთ; ყეთილი და პატიოსანი, მაგრამ დიდი რამ არაფერი. შბრალო და სასარგებლო საქმეა და აუცილებლად საქირო და არა ისეთი რამ დიადი, რომელსაც თითქო ტანჯვათა შორის ნამდვილი სამოთხის დასახვა და დადგინება შეეძლოს. შბრალო მოვალეობის აღსრულებით კაცი თავს არ უნდა იქებდეს და ვინც კაცურ მოვალეობათა აღსრულებას ეწინააღმდეგება, ის საბრალო ქმნილებაა. ჩვენს ცხოვრებაში თავდაზნაურობისმიერ ფულის გამოღება თავიანთ შვილების აღსაზრდელად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ მოვალეობის აღსრულებად. ეს არის ნამდვილი სახელი ამ საქმისა.

მ. ყოფიანი.

შინაშრი მრწანისა

გუშინდელი ჩვენი ტელეგრაფიკული შეტყობინება ამ სამწესწარე ამბავს, რომ ქუთაისის საადგილმამულო ხანგის კასა გაუჭურდავთ ვიღაც ბორატ-მომქმედებს. ჩვენს სასამართლოდ, როგორც დღევანდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ტელეგრაფიკული სჩანს, ზარალი დიდი არა უფიქრია. ქუთაისის ხანგის გამგეობის თავმჯდომარე ბ. დოდუბერიძე ტელეგრაფით გეტყუობინებს, რომ ქურდებს მხოლოდ 1011 (ათას თერთმეტი) მანათი ხაღდი ფული

რა ქანას. საქმეს ტყუილ-უბრალოდ აჭიანურებენ და საგულისხმო ვერა გამოურჩევიან-რა. ზოლოს კი, თითქოს აუტყვიანთ ჰყიდდენ რამეს, გადაუწყვეტიათ, ვინც უფრო იათად გადაიღებს, იმას მივსცეთო და, რასაკვირველია, რომ ესეც უბრალოდ და უსარგებლოდ დროს დაკარგავა. როგორ თუ გადაიღებს? ზერ აღდგინება უნდა და მერე გადაიღება. შანა დაწერა და გადაწერა ერთი და იგივეა? მინც კი «ან-ბანი» იცის, იმას ადვილად შეუძლიან უმეტ-ნაკლებად გადახატვით გადასწეროს, რასაც კი მისცემთ გადასაწერად, მაგრამ თუ ის ენა არ ესმის და შესწავლილი არა აქვს, რომლიდანაც სწერს, როგორ გაიგებს—სად რა შეცდომაა, სად მეტია, სად აკლია, და მაშ როგორღა გაასწორებს და აღადგენს დედანს. ზალობაც ისეა: «ანბანურად» ნოტებით მისი გადაღება ძნელი არ არის, მაგრამ აღდგინება? ნუთუ ქართული გალობა ისე დასრულებულია, რომ აღარა ეჭირება-რა, ვარდა ნოტებით გადაცემისა? და სად არის ეს გალობა?

წაუღიათ და სხვა ფასიან ქაღალდებს არა დაჭკლებათ-რა.

თბილისის გუბერნატორს, როგორც შეეიტყო, დაუმტკიცებია წერტილის საზოგადოებისაგან წარდგინებული განხიზნის სელთუხის საზოგადოებისა (გორის მანრაში) შესახებ სასწავლებლის გასწავლის ამ საზოგადოებაში. როცა ეს სასწავლებელი გაიხსნება, მაშინ წერტილის საზოგადოების ზედამხედველობის ქვეშ, გარდა ბათუმის სკოლისა; სამი სკოლა იქნება: წინარეხისა, თონეთისა და სელთუხისა.

ჩვენ შეეიტყო, რომ თბილისის მანრის თავდაზნაურობისაგან ამოღებული 34-ის კომისია ერთგულად და საქმაროდ ახირობს საქმისათვის სკოლის მოკიდებას, რათა მალე შესრულდეს მისადმი მიხედობილი საქმე და ერთს თვეში წარუდგინოს სამანრა გრებს სრული სიები გატეკვრებულ დაუფიქრებულ თბილისის მანრის თავდაზნაურობა. პირველი სხდომა ამ კომისიას, როგორც გვითხრეს, ექნება დღეს, ოთხშაბათს, თბილისის საადგილ-მამულო ბანკში.

მისს უოკლად-უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხისს მიუწერია ცირკულარით ზღაღღინებისათვის, რომ უოკლს გრებულს საქართველოს საექსარხოსოში გამაწერინონ გაზეთი «მწეშისა» ან თითონ გრებულს საჯრუ-ზე, ან თუ გრებულს არ ექნება შემლება, ეკლესიის საჯრუ. თუ, ვინცე-ბაა, ვერც გრებული შეიძლება, ვერც ეკლესია ამ გაზეთის გამაწერას, მაშინ თითონ ექსარხისს უნდა აწინაბონ პირველს მარტამდე მიზეზი გამაწერლოს.

გორის მანრიდამ გვანობებენ, რომ პირველს მარტს გაუთავდება ეგზეტაციას ვადა და ამ მანრიდამ, მთელი გორის მანრის სასიხარულოდ, გამოი-

ბა? და რომელია? ზოგი ამტკიცებს «მარბელოვის» გალობააო და ზოგი იძახის «გურულიო!» უკაცრავად კი გახლავართ, მაგრამ ორივე მხარე კი სტყუის...

«მარბელოვის» გალობა არის მხოლოდ პირველი დასაწყისი გალობისა, პირველი გაკვეთილი და იმ პირველ მუხლით გალობენ ყოველ საგალობელს, ისე როგორც ახალი მოსწავლე ამოსაღებით ჰკითხულობს ყოველ გვარ წიგნს. — «ძლილო», «სალხინოს», «საზაროს», «საძილისპიროს», «სადღესასწაულოს» და «ჭრელს», თუ «საკარანახოს» — ეველას ერთიანად იმავე კილო-ხმით გალობენ.

ზურული გალობა მართალია სრული სკოლა არის, მაგრამ მეტის კრიმანჭულებით გადაუსხეფერებით, გადაუცდენიათ კანონზე და ძველებურად ვეღარც ის ხატავს საგანს. და მაშასადამე ეს გალობები რომ გადავიღოთ და მითი მოვჩრეთ საქმეს, პირველ შემთხვევაში უგუნურება იქ-

ვანებენ ეგზეტაციისათვის დანიშნულ უსახსებს. ამ ეგზეტაციას ქურდებისა და მტარცველების დენის გარდა, შედეგი საქმე შეუსრულებია: გორისის სკოლაში საფალავანდიშვილი ხინანი ოსებისათვის თითქმის ათჯერ მეტი გადასახადი დაუდგია, ვიდრე უწინ იყო. ეს გორისის სკოლებები ამ ხანას გარდასახადს მეტად შეუწუხებია და თბილისში ჩამოსულან სახიფელად.

თიანეთიდან გვერენ, რომ ამ ცოტას ხანში იქ მისულან გუბერნიის გამგეობის ჩინოვნიკი ე—ოვი და მღვდელი ს—ბე იჭური მანრის უფროსის, ბ. ჯ—ის, მოქმედების გამოსამიბე-ლად. სხვათა შორის, ბ. ჯ—ის აბრლებენ იჭური მღვდლები, რომ ხალხს ჩვენს წინააღმდეგ ჰღვებებს. ბ. ჯ—ი თურმე უკლას ეუბნება, თქვენ ხმა და ამდენი უნდა გადაიხადოთ მღვდლებს სასარგებლოდ და არა მეტიო. განკებ ამისათვის მისულს მოსულეს გა-მოუკვლევი საქმე დაწერილებით და აღმოჩენილა, რომ ბ. ჯან—ს ეს უოკლის-ფერი ტყუილად ბრალდებოდა.

სვეიდან გვერენ, რომ თუმცა წრეულს მოსავალი გარგი იყო, ასე რომ შეიძოდა წელიწადის ამისათანა საუსხე არა უფიქრია, მაგრამ სამაგაეროდ ვად-მყოფობამ შეგაწესა. მარტო ერთს პატარა სოფელში, რომელშიაც 17 კომ-ლი სტოკურებს, მუცელამ ხუთი სული იმსხვერპლა და ხუთიც მძიმე ვად-მყოფიაო. ეს ამბავი შეტუობინებული აქვს ბ. დუშეთის მანრის უფროსს და დღე-დღეზე ექმის მოკელითო.

ს. წვეიდან (შორანის მანრა) გვერენ: «ავერ ერთი წელიწადი გადის, რაც ჩვენს წევს წმ. გიორგის ეკლესიის მრევლ-თაგან ზოგაერთებმა, თსოვნა მივართვით უოკლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს შესახებ «მოსწრსებული» გაჭრობისა ამავ ეკლესიის სამრევლო მამულებზედ,

ნებოდა და მეოცეში—შეცდომა. არა, კომიტეტს თუ მართლა გულწრფელად ჰსურს გალობის აღდგინება, უნდა აიჩინოს მცოდნე პირი. იმან უნდა მოიაროს მთელი საქართველო, ყოველ კუთხეში და ყოველგან დაუგდოს ყური საერო კილო-ხმებს, თკითონაც შეისწავლოს; ნამეტანი რაც შეჰპარვია გალობას, გამო-რიცხოს, რაც აკლია შეავსოს, აღადგინოს ნელ-ნელა აუჩქარებლად და სხვებსაც ასწავლოს: ამ გვარად შედგება სკოლა და გალობაც თან-და-თან სისრულეში მოვა. როგორც საქმის მოსარჩლე და არა პირადობისა, ვიტყვი, რომ ამ გვარი მოთავე კიდევ-ცა გვეყავს, ბ. შორიძე. მისაც გაუგონია მისგან ნოტებზედ გადაღებული გალობა და სიმღერები, თუ არ ეინით, წინააღმდეგობას ვერ დაიწყებს. ჩვენ არ ვიტყვი, რომ კიდევ უკეთესიც არ შეიძლებოდეს, მაგრამ ეს საზოგადო კანონია ყოველიფრისათვის.. ღღეს თუმცა მხოლოდ მარტო სამს ხმაზედ არის შედგენილი ეს გა-

რომელიც მოკლდინა ჩვენს გაუგებლად. მ. მ—ლ—მეს და ვიღაც კერძო პირისათვის გადაეცა მთლად მამული ძალიან დამცირებულ ფასად. საზოგადო გაჭრობა რომ გამოცხადებულიყო, ამავე მამულში თითქმის ოთხჯერ მეტ-ფასს მისცემდენ.

ამისთანა უწესო გაჭრობის მოხდენა-ზედ ს. ჩხარში უოკლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა ფიქსელი განკარგულება მოახდინა, გაჭრობა გააუქმა და სულ-ახალი გაჭრობა დანიშნა; მაგრამ ჩვენ დღესაც მოკლებული ვართ განონიერ დაკმაყოფილებას...

განეთიდან გვერენ: «გაცი ვერ წარმოადგენს თუ სოფლის «ბუბებს» რამდენი ზარალი მოაქვთ სოფლისათვის; გამოვა რომელიმე დედაგაცი და აგრცლებს ხმას, «რომ იგი დაუფასებელი და გამოცდილი ბუბა არის». ხმა მთელ სოფელს ერთი საათის განმავლობაში მოკუთინება და დიდი თუ პატარა მასთან მიდის გაჭირების დროს, მაგრამ, საუბედროდ, ზიანის მეტი არა მოაქვთ რა?

აი, მაგალითად ჩვენებურმა ბუბებმა ამას წინად რა მოახდინეს: ორი ახალ-გაზდა ქალი ერთსა და იმავე დროს მშობიარობაზედ სიცოცხლეს გამოასალ-მეს... მათ, რასაკვირველია, არაფერი გაკებოდათ ადამიანის აგებულებისა და საბრალო ქალები ორივე გამოუთქმელის ტანჯვით დაიხცნენ.

ურთგო არ იქნებოდა, ჩვენის აზრით, რომ იმ გვარ სოფლებში მანც, როგორნიც არიან, მაგალითად, ეკლესიისედა სხვა უფრო დიდრან სოფლები განუთ-ში, ან ადმინისტრაციის დანიშნავს, ან თავიანთ სურვილით მოვიდოდენ იმის-თანა ნასწავლი ბუბები, რომელნიც ახი-ლებდენ ხალხს ამ გვარს უმეტარ ბუბების წამლობას.

ლობა, დანაშთენი ხმები არ ჩაერთვის და გუნდიც არ შემდგარა, მაგრამ მანც გულს ეღრხინება მისი მოსმენა. შანსაკუთრებით ზურული კრიმანჭულები საუცხოოდ არიან გადაღებულნი. ზალობას მხოლოდ ერთი მცირე რამ შევნიშნეთ, რომელიც ადვილი გადასასწორებელია: სამივე ხმა ერთად იწყებს და ეს წინააღმდეგია ქართული გალობის: «მოძახილი» მითომ ჰქვიან ერთ ხმათაგანს, რომ მერე უნდა დაეხმაროს. საზოგადოდ მთქმელი იწყებს, მაღალი ბანი მოსძახებს, კრინი აბამს, ბანი მხარს ამლევს, დგრინი ავერგინებს და ძილი ატკობს...

ამათ ყველას თავ-თავის დრო აქვს და შიგა-და-შიგ შეერთებულად ხმას გამოსცემენ ხოლმე და კიდევ ამაშია ჩვენი გალობის ტკბილ-ხმოვანების საიღუმლო.

აკე.



დროების კორექციონები

თიანეთი. თქვენი მკითხველები იცნობენ, ვგონებ, ჩვენებურ მამასახლისის ღალაქიშვილს. აი კიდევ ერთი იმისი მოქმედებათაგანა:

მართს აქაურს გლეხ-კაცს დაუვალგებია თავის მეზობლისათვის სამი ურმის წნელის მოკრა—ფასით. ეს უკანასკნელი კაცი წასულა, მოუტრია წნელი და ერთ ალაგას დაუგროვებია; მერე გამოურთმევია თავის შრომის ფასი და უწინებია—ამა და ამ ალაგას არის წნელი დაგროვებული; იმ კაცის საუბედუროდ, საცა ეს წნელი ვგროვია, იქვე ახლო წყობილიყო წნელი ღალაქიშვილისა, წაეღო ურემი და შეცდომით ღალაქიშვილის წნელი წამოვლო. შევლობა ამ წნელით თავის ეზო. რამდენსამე ხანსუკან გაეგო ეს ღალაქიშვილს, დაეპარებინა ის გლეხ-კაცი, ეძებებინა, რომ თუ ჩემს წნელს ჩემს კარზედ არ მოიტან, ვაი შენი ბრალი; როგორ გაჰხედე ჩემი წნელის წამოღება! გლეხ-კაცს დაეწყო ხეწენა, შეცდომით მომივიდა და სამ ურემში ხუთ ურემს მოგიტანო შენ კარზედო, ან არა და ერთი ორად ფასი მიიღეო, მაგრამ ღალაქიშვილს შეეგდო ქვა და შეეშვირა თავი—ეგრძანებინა, წადი, აშალე ის ჩემი წნელით შელობილი ღობე და ჩემი წნელი მევე მომიტანე, თორემ ვაი შენს ტყავაო. მე არც სხვა წნელი მინდა, არც ფასიო.

რასაკვირველია, ამ სიტყვების გამგონე გლეხ-კაცი შეშინებულა, წასულა, აუშლია საწყალს ღობე და წნელი მიუტანია ღალაქიშვილისათვის. საცოდავ გლეხს იმოდენა შრომა და ტანჯვა ღობის შელობაზედ სულ ამოდ ჩაუარა ღალაქიშვილის ჯიუტობის წყალობით.

ზარდა ამისა, შარშან წინ სოფელმა დაიწყო სოფლის კანცელარიის კეთება. მოაზიღინეს სოფელს ასი მორი წიფლისა, სულ ფიცრებად დაახერხინეს და დალაგეს ერთ ადგილას; ეხლა ამ ფიცრებისა ერთიც აღარ არის, — შეიღმა თავის სახლებსა და თავის მეპატონის სახლებს მოახმარა. ხალხი თუმცა ბევრსა ყაყანებს ამ საქმეზედ, მაგრამ გამგონე არ უჩნდებათ; ამის გამო, სოფელმა უარი სთქვა ამ შენობის გაკეთებაზედ. მარტო ქვეთკირის კედლები არის ამოყვანილი და დანარჩენს თავი დაანებეს; თუმცა ახალი მახრის უფროსი უქადაგებს, რომ დაასრულონ შენობა, მაგრამ აღარა ჰსურთ. ამბობენ, რომ — შეიღეს დარჩება ეგეც ბოლოსაო. ეს ვაჭბატონი გაშიჯენის დროს კარ-ღაკარ თურმე დადიოდა და ხალხს ეუბნებოდა ასე სთქვით მთელი თიანეთი ბ—სააო. ამასვე თიანეთში, მგონი, ოთხგან, თუ ხუთგანა აქვს დაჭერილი სასახლე ადგილები და სახნავი მიწები ექნება სამას დღიურამდე სულ სახელმწიფო; სხვა გლეხებს კი ზოგს ორორი დღისაც არა აქვს. თუ რომელიმე გლეხ-

მა ითხოვა სახელმწიფო მამული, რასაკვირველია, როგორც მამასახლისს, მაზრის უფროსი ამას უბძანებს აღმოაჩინოს—ვის უჭირავს მეტი სახელმწიფო, მამულიო; ესეც საწყალ გლეხ-კაცზედ მიუშვერს ხელს, მეც იმისთანაზე, რომელიც ცოტა იმის წინააღმდეგია, და ამ გლეხ-კაცს, რასაკვირველია, მიწას კიდევ მოუტრიან. ბევრს გლეხს სასახლე ადგილი სრულიებით არა აქვს, იძულებულია გადაახლდეს სხვა სოფელში და — შეიღებისთანავე კი, როგორცა ვთქვით, ოთხი თუ ხუთი სასახლე ადგილი უნდა ეჭიროთ.

სოფ. დიღომი. 1882 წელს, გზათა გამგეობის ნებართვით, საქართველო-სამხედრო გზატკეცილის პირას, მე-12 ვერსზე ქ. თბილისიდან, დიღომის მინდორზედ ამოსხარეს რამდენიმე ქა კალატოზედ კირის ასარევიად საჭირო წყალისათვის, რადგან ამ გზაზედ ბოგირებს აკეთებენ; სიღრმე ამ ჭებისა შეიღ საყენამდია.

წარსულს 1883 წელს ერთს ამ ქათაგანში ჩაეარდა კამეჩი დიღომის გლეხისა და წელს იანერის დასასრულს ჩაეარდა კიდევ 26 წლის ყმაწვილი კაცი, დიღომს მცხოვრებელი ანდრია მუცნიანიშვილი და დაიღრა. აი როგორ მოხდა ეს ამბავი: მამლიყვილისას გარდაცვალებული და მისი უფროსი ძმა წასულან ტყეში; უფროსი ძმა ურმით წინ გამგზავრებულა, უმცროსი ფეხით მიჰყოლია. უფროსი მივა თურმე ტყეში და დაუწყებს ლოდინს თავის ძმას და ეს უკანასკნელი რომ არ მივა დაბრუნდება უკან და შეუდგება ყველგან ძებნას. ბოლოს ამ თებერვლის რგას ერთს დიღომელს უთქვამს, რომ ჭის პირას კვალი ეტყობაო. წაუსხამთ კაცები, ერთი შიგ ჩაუსვამთ და მუცნიანიშვილი დამღრჩვალი უბოვნიათ. საქმე გამომძიებლის ხელშია და ჯერაც ეჭიმს არ გაუსინჯავს.

მხლა მაინც მიატკიონ ყურადღება და ის ჭები ამომსებინონ.

სხვა-და-სხვა ამბავი.

მოლა ნასრედინ და ქურდები. მთხელ ღამე ქურდებმა მოინდომეს მოლა ნასრედინის გაქურდვა. სახლის კედელი განერიტეს და მოლას საწოლ ოთახში შეიპარნენ. ნასრედინს არ ეძინა, მაგრამ თავი მოაჩინარა. როდესაც ქურდებმა სულ ერთიანად, რაც კი სახლში იყო, მოხევეს, მოლა ნასრედინა ნელა, მძინარე კაცისავით გადაგორდა ნაალიდამ. მურდებს პირველად შეეშინდათ და გაქცევა მოინდომეს, — ეგონათ, მოლას გაეღვიძა; მაგრამ როდესაც ნახეს, რომ იგი გაუძრველად ეგდო, გაეხარდათ და მისი ნაალიც, საბანიც და ბალიშიც აიღეს და წავიდნენ. მოლა ნასრედინაც წამოდგა და უკან დაედევნა. მურდები მეიდანზე რომ გვიდნენ,

შენიშნეს, ვალც მოსდევდა. შეშინდნენ და ჰკითხეს: «ენა ხარ და საით მიდინარა?»

— თქვენ რომ ავეჯი მიგაქვთ მე მაგის პატრონი ვარ, — მიუგო მოლამ. მკითხვეთ, საით მიედივარ? მგონი, თქვენ სხვა სადგურში გადაგყვართ და აი მეც იქ მოვიდვარ ჩემის ბარგი-ბარხანით.

მურდებმა იქვე დასტოვეს ყველაფერი და მოჰკურცხლეს.

არა ნაკლებ გაკვირებულმა მოლა ნასრედინამაც იქვე გაათია დანარჩენი ღამე.

თათრის მეიდანზე ეპრობს «შეითან ბაზრის» ბაყალი, სახელად თუ გახსოვთ, მკითხველებო, ამ ერთის წლის წინად გავხეთებში ეწერა: «ცოცხალმა, ჯანმთელმა კაცმა გააკეთებინა თავისთვის კუბო და ინახავს თავის სახლშიო». ეს სწორედ ის ბაყალია და კუბო ეხლაც სახლში უძევს. იგორა მარალოვი დარდიმანდულადა ეპრობს დღესაც თავის დუქანში. ძაცია შეუხანისა, მხიარული, ხუმარა, მასხარა, კაი მსმელი, კაი დროს გამტარებელი და კაი «ძმა ბიჭი», როგორც კინტოები ლაპარაკობენ იმაზე.

შეინობის ორშაბათს დილით ორივე ავლაბრის ხიდები გაიქედება მრავალი ხალხით. მიწროობისგან ნემსი, არ ჩაეარდება. სიცილი ხარხარი განუწყვეტელია. მთელი მეიდანის ხალხი მიეჩქარება საყურებლად, ხოლო ჩვენი იგორა მარალოვი კი, «აღები-ღამის» ნაბახურევი, ზის თავისთვის სირაჯხანაში და ინელებს მოუწლებელს ღინოს.

ამ დროს შემოეარდება მახარობელი; — იგორ, შენი კუბო წყალში ჩაუგდიათ, შინ აღარ არის». იგორას ჯერ ფერი ეცვლება, მერე თავს გაიმაგრებს, არა სჯერა. ბოლოს წავა ოთახში და ჰნახავს, რომ მისი კუბო მართლა აღარსად სჩანს. ბაქანდება მტკვარზე და ჰხედავს, რომ მისი «საყვარელი კუბო» წყალს მოუგდია ზემოდამა და ატრიალებს ავლაბრის მორევი. იგორა თავგადლებული შეეხეწება მენავეებს, შეგზავნის მათ წყალში, გამოატანინებს, წამოიკიდებს ზურგზე და წამოიღებს სახალხოთ თავის სადგურში.

მხლაცა გლოვობს იგორა ამ სამწუხარო მასხარაობაზე, რომელიც მეგობრებმა მიაცენეს მას. ეს კუბოს ამბავი მეგობრებს მოჰგონებოდათ თურმე შემდეგი გარემოების წყალობით. წინა დღეებში გარდაიცვალა ერთი საწყალი გორელი კაცი. ძუბოს ფული ვერ მოაგროვეს. იგორამ, თავის სულის საცხონებლად, ათხოვა თავისი კუბო. თურმე სასმელაოდამ მოაქვს ზურგით ეს კუბო, მაგრამ ნაცნობებმა დაუწყეს ქვისა და ტალახის სროლა. იგორამ კუბო მესაფლავეს მიბარა და მხოლოდ ღამის 10 საათზე წამოიღო უკან — არ გამიფუტონო. მოიტანა კუბო, გასდო დახლზე, ეკონება მას, თითქო საყვარელი იყოს, და ეუბნება ასეთს მხურვალე სიტყვებს: «კუბოჯან, ვისი ხარ, შენ გენაცვალე? ხომ არ მიმტყუნებ? მაყურებელი ბევრი იცინიან. მათში იგორას მეგობრებს გაუფლით თავში ახარი — გადაუგდონ კუბო. ამ აზრს ასრულებენ ისე, როგორც ზემოთ ვთქვით; მაგრამ კუბო წყალმა მოიტეცე და იგორა მარალოვი დღესაც ესაყვარლება თავის კუბოს. სხვებ, იგორა მარალოვს არ ეტყობა რამე ფსიხური ნაკლი. მხოლოდ ეს კუბო შეჰყვარებია, რითაც აკვირებს და ახარებს «შეითან ბაზრის» მოქალაქეებს.

ლი იყოს, და ეუბნება ასეთს მხურვალე სიტყვებს: «კუბოჯან, ვისი ხარ, შენ გენაცვალე? ხომ არ მიმტყუნებ? მაყურებელი ბევრი იცინიან. მათში იგორას მეგობრებს გაუფლით თავში ახარი — გადაუგდონ კუბო. ამ აზრს ასრულებენ ისე, როგორც ზემოთ ვთქვით; მაგრამ კუბო წყალმა მოიტეცე და იგორა მარალოვი დღესაც ესაყვარლება თავის კუბოს.

სხვებ, იგორა მარალოვს არ ეტყობა რამე ფსიხური ნაკლი. მხოლოდ ეს კუბო შეჰყვარებია, რითაც აკვირებს და ახარებს «შეითან ბაზრის» მოქალაქეებს.

ქილაღელჭიის მუზეუმში საზოგადოების საჩვენებლად ჰყავთ ერთი ახალგაზდა კაცი, რომელიც ძალიან მოგავნებთ თურმე მკედარი ადამიანის აკინძულს ჩონჩხსა. მართლამაჲ ქალს თურმე შეუყვარდა ეს მახინჯი ახალგაზდა, მუდამ დღე დაიარებოდა მუზეუმში და მთელი საათობით ესაყვარებოდა თავის სატრფოს გამხმარ ფეხებს და ხელებს. ეს ცოცხალი ჩონჩხი არ ჩამოუვარდა მშვენიერს ქალსა, თავის მხრივ, ამანაც განუზიარა ქალს გრძნობა და ერთხელ იმოდენა მამაცობაც გამოიჩინა, რომ ადგა და გამოუტყადა ქალს თავისი სიყვარული. ძალმა სიამოვნებით მიიღო ეს განცხადება. მაშინვე დაუყოვნებლივ გადაწყვიტეს ჩქარა დაეწერათ ჯვარი. წარსული იანერის უკანასკნელს შაბათ დღეს უკვე მოხდა ჯვარის წერა. ამ ქალსა ჰქვიან ბერტა და ეკუთვნის ქილაღელჭიაში მიღებულს და პატივცემულს სახლობას. მისი სახლობა ადგილებული იყო საშინლად ამ ჯვარისწერაზე, ძალიანაც ეწინააღმდეგებოდნენ ბერტას, მაგრამ ვერა გააწყყის-რა. ძალმა თავისი გაიტანა. მაგრამ, ჯვარისწერის პირველსავე დღეს ბერტა ძლიერ არეული იყო და სთხოვდა თავის ქმარს, რომ ამ უკანასკნელს მიეცა მისთვის ნება შინ წასვლისა, ვითამდა თავის ტანისამოსის მოსატანად. «ჩონჩხი» ჯერ ეწინააღმდეგებოდა თავის ცოლს, მერე კი მისცა ნება. მშობლებს ძალიან იამათ ბერტას დაბრუნება, მაგრამ იმე წაშს შეატყეს ბერტას ნამდვილი სიგიჟის ნიშნები: ბერტამ დაიწყო მალაღის ხმით ბოდვა — წაიყვით, მომაშორეთ თვალიდგან, მე არ შემიძლიან ვუყურო მაგას! მქიმებმა შეამოწმეს, რომ ბერტა თითქმის უიმედოდ გაგიცხებულაო. მისი მამა დიდს მწუხარებაში იმყოფება და მოწადინებულია, ბერტას მორჩენისთანავე გაუქმოს ეს საოცარი ცოლქმრობა.

საკვირველი დედა-კაცი. დოქტორი ატკინსონი ერთს საექიმო ყურანლში სწერს საკვირველს, მაგრამ ნამდვილ ამბავს დედა-კაცის გასაოცარს ნაყოფიერებაზე. მართი ქალი დაიბადა 1820 წელს. დოქტორი ატკინსონი მას კარგად იცნობდა და კიდევ სწამლობდა. ეს ქალი მეთექვსმეტე წელიწადს გათხოვდა. 64 წლისა რომ



შესრულდა, გარდაცვალება. მამასადა-
მე, 48 წლის განმავლობაში იგი იმ-
ყოფებოდა ქმრის ხელში. ამ 48 წელს
იმას გაუჩნდა ოც-დაათი შვილი, რომ-
მელნიც სულ თავისი ძუძუთი გაზარ-
და. ეს ოც-დაათი მისი შვილი დღეს
ყველანი სიცოცხლოდ და ძალიან
კარგი ჯანის პატრონებიც არიან.
მათში მხოლოდ ორი წყვილი ტყუ-
პად გასჩენია საკვირველს დედას, და-
წარჩენი სულ თითო-თითოდ უშობ-
ნია. თუმცა ამოდენი შვილიერობა
ჰქონდა ხსენებულს დედა-კაცს, მაგ-
რამ ბოლოს დრომდე ძალიან საღად
იყო და მუდამ საქმეში ატარებდა
დროს. არც ერთხელ არ მიუშართავს
არც შვილის სხვაგან გაბარებისთვის,
არც რძე დაჰკლებოდა მაშინაც, როცა
ტყუებები ჰყვანდნენ. თურმე გამდელიც
კი არა ჰყოლია.

ტელეგრაფი

საკუთარს გორესპონდენტისაგან.

20 თებერვალს.

მუთისი. ბორბოტ - განმზრახ-
ველთ ახანგრძვეს მიხეილის თა-
ვად-ახანგრძობის საადგილ-მამუ-
ლო ბანკის ბანი, გატენეს კასსა
და ათას თერთმეტი მანეთი ნაღდი
ფული მოიპარეს; ფასიანი ქაღალ-
დებისთვის ხელი არ უხელიათ.

ბანკის გამგეობის თავმჯდომარე
ლოლობერიძე.

(*ქართულითა და საგენერალისა.*)

20 თებერვალს.

ბაშქანი. ჭრეგანის მარხის
ოშში 13 თებერვალს ძლიერი
მიწის-ძვრა იყო; ძვრის წინადა მი-
წიდა გრვინვა მოისმოდა; არა-
ვითარი უბედურება არ მომხდარა.

პარლსრუმი. აქ მოვიდა დიდი მთა-
ვარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე;
ვოგზალზე დიდი ჰერცოგის სახ-
ლობა მიეგება.

სუბაქიში. ოსმან-დიქმა დაბანაკდა
სუბაქიდან რვა მილზე მოშორე-
ბით; ინგლისელებს ტოპარიდგან
დაბრუნების დროს კიდევ მოუხ-
დებათ შეტაკება აჯანყებულებთან.

ლონდონი. გენერალს გრანამს
ბძანება მოუვიდა ტოპარიდგან უკან
წამოსვლისა; მიღებულია ზომები,
რათა ბრიტანის ჯარები მალე
დაბრუნდნენ ინგლისში და ეკვიპ-
ტები.

განსხვავებული

კალაის გაგვირგვა.

საკუთრებათაგან გაცხადებს—უვა-
ვილით ავადმყოფობა რომ მეტის-
მეტად არ გავრცელდეს უვავილის
აქრის კომიტეტმა საჭიროდ დაი-

ნახა ურჩივოს ქალაქის მცხოვ-
რებლებს, რომ უვავილი აცრე-
ვინონ. უვავილს შემდეგ 11 ად-
გილას უცრიან:

1) ქალაქის სამკურნალოში (де-
ченница) 10 საათიდან 11-მდინ.

2) დოქტორი ჰავლოვსკის სამ-
კურნალოში 11 საათიდან 1-მდინ.

3) დოქტორი ნავსარტიანცის
სამკურნალოში ცხრიდამ 10¹/₂ სა-
თამდინ.

4) I პოლიციის უჩასტკაში (კა-
ლიუჩაია ბაღა) 10-დან 11 საათამ-
დინ.

5) III პოლიციის უჩასტკაში
(მურნანიანთ ქუჩაზე) 10 საათი-
დან 11 საათამდინ.

6) ვეკანის აფთევის განყოფი-
ლებაში (ახანოებთან) 10 საათი-
დან 11 საათამდინ.

7) დოქტორი ბახუტოვის სახლ-
ში (ახას ახათის ქუჩა, მახურავის
სახლი) 10-დან 11 საათამდინ.

8) ავლაბარში (კონსტანტინეს
ქუჩა სახლი № 11) 8 საათიდან
10 საათამდინ.

9) გუკაში (მინეილის ქუჩა, ამირ-
ბეგოვის სახლი № 3) 8 საათი-
დან 10 საათამდინ.

10) გუკაში (ავჭალის ქუჩაზე
მირზოევის სახლში № 18) ორი
საათიდან 4 საათამდინ შუადღის
შემდეგ.

11) VIII პოლიციის უჩასტკაში
1 საათიდან 4 საათამდინ შუად-
ღის შემდეგ.

ამას გარდა, უვავილით ავად-
მყოფების ნივთთა უფასო დეზინ-
ფექციისთვის გამგეობას გამართუ-
ლი აქვს ორი კამერა. ვინც ად-
ნიშნულს დეზინფექციას საჭი-
როებენ, გამგეობა სთხოვს, გა-
მოუგზავნონ თავისი ნამდვილი
ადრესი; გამგეობა თვითონ მია-
ტანინებს კამერაში ნივთებს და უკა-
ნაც თვითონვე მიეტანს პატრონს.
(2—1)

ინგლისის მაღაზია


Maison de confiance

შუადღით ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 შ. 10 გ.	1 შ. 40 გ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50

საუკეთესო 2— „ — — 3— „
იქვე ისევედა სხვა საქონელიც: თა-
ფები, რკინაფურები, კრაფტები, ჭურ-
ჭელი, ჩაიდნები, გასადებები, დანები,
გოგუნები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი,
შოკოლადი, კაკაო, კანფები, მურაბე-
ბი, მაგნიზია, უნაგირები, კლეონკა,
წინდები—კაცის და ქალის, სელ-სახლ-
ცები, მაკინტოშის კალენგორა—სულ
ყველაფერი 25-დან 50 პროცენტით უფ-
რო იაფად, კიდრე სხვა რომელსაზე მა-
ღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედავ 25 მანეთიდან
1,000 მანეთამდინ საქონელს გამოი-
წერს, გასაგზავნს არაფერს არ ის-
დას.
(100—84)

ინგლისური ჩინის კრამოლბი



ერთის საწოლი 7 მანეთიდან და
ორის საწოლი 14 მანეთიდან, მათი
ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-
დან 8 მანეთამდინ. კიდრე შემდეგი ნი-
თები იყიდება 25%-ით უფრო იაფად,
კიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანის მეტა-
ლის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სა-
შაქრე, ჩაისა და სტოლის გოგუნები ჩანგ-
ლებითა, ფაფხა, დასადგომელი, შირის-
სახანი, სტაქნები, სუფოვნიები, საწოლი,
...

სეები, რიშები, გრაფინები, საქაშური
თეფები, ბლუდები, სსსადათები, ტაშ-
ტები, სარქვეები, სამარილები, გაჩი-
რის საფხეები, უნაგირები კაცისა და
ქალისა, ადვირები, სლისტები, ტანისა-
მოსის დასადებლები, საბალო მაკრა-
ლები, გაქსები, უთოები, წისქვილები,
სერები, ქაღები, კლიტები, ინგლისის
თოფები და რკინაფურები, მიყები, ზა-
რიადები, კაშპოლები, სოფანები, ნი-
ბები, ვატრებრები, სახები, ნულქები,
წინდები, სუფრები, სალქტეებისათვის
რგოლები, კმალიანი ჭურჭელი, მურა-
ბები, კამფები, შიკოლები, სოფები,
ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სს.
ინგლისურს მაღაზიაში №№ 156,
157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს
უყრადღება მიაქცეთ. (100—65)

ინგლისის მაღაზიაში


თის-აგოფანი



გაპ-მასტარი

ამაგრებს თმს და ადრინდელ
ფერს აღდგენს, ფასი ერთი შუმი-
სა 2 მან., გაგზავნიით 2 მანეთი
და 28 კაპ.
(100—100)

საკლობუსო კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთადერთი
სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები,
უკულის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინც სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი,
განკრები, რკინაფურები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმიანაგები, შორ-
სიგარები, ალბომები, რამები, მაკრალები, სამართებები, სანთელი, სალესი,
ტარაშები ჭურჭლების საწმელად (ბორაგსი), თეთრულისათვის, შატარა ხაღები
აქტაისათვის კლინები. ტახტები, საგარბები, სარკები, საგარცხლები, ბეშე-
ნი, ზარები, ბინოკლები რუფტები, ვატრებრები, მზის-სათები, კამპანები,
ტრამპეტები, ტეფები, ნემსები, მაგნატი, სვისტოკი, პომეჩი, ქამრები,
სარტელები. საყუფური, შრობები, საშრობები, კრანები, ჭიჭილები, შორტები
თავის. ტანისამოსის, ცხენის და შატანთან მაკინტოშები, კრაგები, საყვირო
ქაღალდი ვატრ-გლანტისათვის და სს. და სს.
პატაში—20 კ.
(100—35)

მაზანდა

ბორაგისა, რომელიც იყიდება თბი-
ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-
დახელ 1 თებერვლიდან 1 მარტამ-
დე 1884 წ.

გამომცხვარი შური რუ-	
სთვის ფქვილისა	— 1 გ. 5 გ.
აჭაურის ფქვილისა: შირ-	
კელის ხარისისა	— 1 გ. 3 გ.
მურისა	— 1 გ. 2 1/2 გ.
იმავე ფქვილ. თორნიში გამომცხვარი:	
შირქელის ხარისისა	— 1 გ. 5 გ.
მურისა	— 1 გ. 3 1/2 გ.
მესამისა	— 1 გ. 3 გ.
ჯვარის-მამის შური:	
შირქელის ხარის. ღავაში 1	გ. 5 გ.
მურის ხარის. ღავაში 1	გ. 4 გ.
მესამისა	— 1 გ. 3 1/2 გ.
ძროხის ხორცი:	
შირქელის ხარისისა	— 1 გ. 9 გ.
მურისა	— 1 გ. 8 გ.
სუფი	— 1 გ. 16 გ.
ცხენის ხორცი	— 1 გ. 9 გ.
ღორის ღორცი:	
შირქელის ხარისისა	— 1 გ. 8 გ.
მურისა	— 1 გ. 7 გ.

რკინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის
8 საათზე და 31 წამ. დილით.
თბილისიდან საშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდან ბაქოსკენ
11 საათზე და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდან თბილისისკენ
10 საათზე და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდან თბილისისკენ
12 საათზე და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდან ბათუმისა და
ფოთისკენ
5 საათზე და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდან ბათუმიდან მომავალი
თბილისში შემოდის
10 საათზე და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდან მომავალი შემოდის
თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.